ტფილისი ძველ ქართულ ლიტერატურაში

პროფ. კორნელი კეკელიძე

ტფილისი ერთერთი უძველესი ქალაქია. გაშენებული, მემატიანეთა ცნობით, თითქოს მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში, ის ყოველ შემთხვევაში მეექვსე საუკუნეში, როდესაც მას ბიზანტიელი ისტორიკოსიც იხსენიებს, ქართლის დედა ქალაქადაა ქცეული. ამიერიდან ის ხდება ცენტრად ქართველთა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა. როგორც ასეთი, ის თითქმის ყოველ ნაბიჯზე იხსენიება ჩვენი ძველი ისტორიკოსებისა და მემატიანეთა მიერ. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს არა საისტორიო ხასიათის ცნობები ტფილისის შესახებ, არამედ წმინდა ლიტერატურული: პოვა თუ არა ტფილისმა ადგილი ჩვენს ძველს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში, ჰყავს თუ არა მას თავისი საკუთარი მეხოტბენი ან ამწერელნი?

წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ ძველს ლიტერატურაში არ მეგულება არც ერთი ნაწარმოები, რომლის თემატიკას სპეციალურად და უშუალოდ ჩვენი დედა - ქალაქი შეადგენდეს, მას სხვათაშორის, გაკვრით ეხებიან სხვადასხვა დროის მწერლები და პოეტები, თუმცა ასეთი შემთხვევაც არაა მაინცადამაინც ხშირი.

ტფილისს ჩვენ ვხვდებით, პირველყოვლისა, ჰაგიოგრაფიულ ბელეტრისტიკაში როგორც ადგილს, სადაც იშლება ტრაღედია ესტატე მცხეთელის (VI) და გბოტფილელის (VII) ცხოვრებისა. აბოს მარტვილობაში წარმოდგენილია ძველი ნაწილი ტფილისისა, მისი ერთერთი გარეუბნით, „რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“,— და რომელიც მდებარეობს „აღმოსავალით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა რქვიან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდე, კლდე მდინარისა მის დიდისა, რომელი განვლის აღმოსავლეთით ქალაქსა, ესე არს სახელი მტკუარი“. აქ, ამ ადგილას, ავტორი გვიხატავს საშინელ სურათს აბოს გვამის დაწვისას, რომლის შედეგს, ფერფლს, ჩამოიტანენ ძირს და, დაახლოებით დღევანდელი ავლაბრის ხიდიდან, ჩაყრიან „ფიცხელთა მათ მფოფინარეთა ღელვათა და სილრმეთა“ შიგან წყალთასა.

საერო მხატვრული ლიტერატურა ტფილისს ეხება მხოლოდ ე. წ. აღორძინების ხანიდან (მე-17 საუკ.). ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, დასახელებული უნდა იქნეს ჯერ კიდევ გამოუცემელი პოემა შაჰ-ნავაზიანი, სადაც მოთხრობილია, რომ ვახტანგ V-ემ ტფილისში მტკვრის პირას ფრანგ ოსტატებს ააშენებინა სასახლე, რომელიც აავსო ძვირფასი ჭურჭლებითა და ნივთებით; სასახლის გარშემო გააშენა მშვენიერი ბაღი, სადაც ის დროგამოშვებით ლხინობდა და თავის საყვარელ მეუღლე მარიამთან სრულს ბედნიერებას განიცდიდა. ეს ის სასახლეა, რომლის შესახებ ევროპიელი მოგზაური შარდენი (17 საუკ.) ამბობდა, რომ მისი მსგავსი მას ევროპაშიც არ უნახავსო.

შემდეგ ტფილისს ეხება გვირგვინოსანი პოეტი ვახტანგ VI, რომელიც ერთ თავის ნაწარმოებში აგვიწერს „კეკლუცთა ხელმწიფის“,—იგულისხმება ქართლი,— მშვენიერებას. მის თვალწარმტაც სილამაზეს და იმ გრძნობებს, რომელთაც იწვევს მოტრფიალეთა გულში მისი ჭვრეტა. პოეტი კონკრეტულად ახასიათებს ქართლის სხვადასხვა კუთხეებს და მოკლე შტრიხით სწვდება ტფილისსაც მისი აბანოებით. თავის მეორე „მაჯამაში“ ტფილისის შესახებ ვახტანგი ამბობს:

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი
ვარსკვლავებრ ესხასა.
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი
მასზე ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ჭნას მასზედა
რითმე ესხასა,
მე ასე მითქვამს: უთუოდ ის კაცი იყოს,
ეს ხასა!

მეორე გვირგვინოსანი პოეტი, თეიმურაზ II, მართალია, სპეციალურად ტფილისს არ ასახელებს, მაგრამ აგვიწერს იმ ძვირფას „სრას“ ან სასახლეებს, რომელნიც შეადგენდენ ამ ქალაქის მშვენებასა და სიამაყეს. ესაა მისი საკუთარი და სამის წინადროის მეფის,—როსტომის, ირაკლი პირველის და ვახტანგ მეექვსის სასახლეები. თავისი საკუთარი სასახლის შესახებ პოეტი ამბობს:

ვერა მჯობს ერთი სახლია, ჰკითხეთ ვინც
გვერდსა გახლია!
ახლო მაქვს უცხო ბაღია, მჭვრეტელთა
დასაკადია;
მიბრძანდით, კარია ღია, ნახეთ კოკობი
ვარდია,
საღად აავსეთ თასია. უკუიყარონ დარდია!
ჩემებრი არვინ მგონია. არ არის საბა-
რონია,
როს ზაფხულისა დრონია, ყვავილნი და-
უზრონია,
იშტვენენ ტკბილად ხმაზედა ბულბული,
იადონია,
ვინცა ლხინისა მდომია, ის რისა გასა-
გონია?
ვაშენებდი სასახლესა, საწოლსა აივანებით,
შევამკევ ზევით-ქვევითა ლამაზად, ბალა-
ხანებით;
შვახედ აინა-ხანია დახატვით, მიჭვრიტა-
ნებით,
ეს შევასრულე სალხინოდ, შიგ ვსვამდი
დოსტაქანებით.

ამის შემდეგ ავტორი აგვიწერს სამი წინადროის მეფის სასახლეს:

უწინ, სიყრმის დროს, მენახა ნაშენი უცხოებითა
სამი მორთული სახლები ვარაყით, სარკეებითა,
მეფეებისგან ნაგები კვეხნით და დაქადებითა,
თითოსა თითო აეგო დიდ ხარჯით და ფასებითა.
როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი,
ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი,
თვით როსტომ ფალავანი და დევნი ეხატნენ რქიანი,
შეემკო დიდად, დაეთქო სახელად როსტომიანი.
ერთი სრა მეფის მამისა, ერეკლეს გაკეთებული.
ხელმწიფეთა საკადრისი, ქვეყნისგან მოწონებული,
სარკეები ოქროს ვარაყით, შემთხვევით განათლებული,
მეფეთ და დარბაისელთთვის სალხინოდ დამზადებული.
ერთი სრა მეფის ვახტანგის, უცხოულობით ნაგები,
საკვირველი და საქები, მას უხდებოდა სარკეები,
შვახედა შანიშინია, აუზით შადრევანები,
ფერად-ფერადის ჯამებით შეხამებული ფანჯრები.
ავზს უხდებოდა შვახედა ბროლის ხომლისა კიდება;
როს მეფე-სპანი ლხინობდენ, დღეს რომ შეჭნოდა ლხინება,
შეხამდის ხოლმე გაწყობილს, კელაპტარს მოეკიდება;
შიგ მსხდომნი კედელს ბიხედის, ეგონოს— გარს ეკიდება.
ერთიცა სახლი უზესთე ერანშიც არ ნახულა და,
ამა სრის ქება-სიკეთე ქვეყანას ხმა-განთქმულა და;
როგორც მას შეეფერების, შესხმა არ ძალმიძს სრულადა,
სხვებს სრასა ყველას ისი სჯობს, მისებრი არ დადგმულა და!

ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეოდალურ პოეზიას ტფილისი თუ აინტერესებდა, იმდენად, რამდენადაც მის სახელთან დაკავშირებული იყო მოგონებანი წინაპართა „საქმეთა საგმიროთა“ და როგორც ადგილი შექცევისა და გართობისა; მისი სახე და ყოფა-ცხოვრება ამ პოეზიის ყურადღებას მაინცდამაინც არ იპყრობდა, ალბათ, იმიტომ, რომ ფეოდალურ ხანაში საქალაქო ცხოვრება იმდენად განვითარებული არ ყოფილა, რომ მას წამყვანი როლი ეთამაშნა და ამით მწერლობის ცენტრში მოხვედრილიყო.